



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 7 22 0000855749



29/07/2022

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, „შპს ალტე უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 18 ივლისის MES 3 22 00001.1/69 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის წესით მიღებული 2022 წლის 27 ივლისის N01-05-04/93 დადგენილების (ოქმი N01-05-02/23 27.07.2022 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა 2022 წლის 1 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ სტუ-ში ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10⁰⁰ დან 16⁰⁰ საათამდე (კოსტავას 77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი,

ოთახი N 350), ან უნდა გამოაგზავნონ სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ელ ფოსტაზე study@gtu.ge.

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის მ/შ-ს, კანცელარიის უფროსს ლ. თარგამაძეს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა მოამზადოს მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად და წარადგინოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში (დანართი 3) არაუგვიანეს 2022 წლის 10 აგვისტოსი;
5. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2022 წლის 12 აგვისტოსი;
6. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2022 წლის 18 აგვისტოსი;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან